



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 15
29/03/2019

15-04-4-201903291648



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების 3 (სამი) ერთეული სარწყავი წყლის არხის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
სარწყავი წყლით მომარაგების ხაზოვანი ნაგებობების
მონაცემები

№	ქონების დასახელება	სარწყავი არხების მისამართი, დაფარვის ზონა	სარწყავი არხების სიგრძე - გრძივი მეტრი	სარწყავი არხების ფაქტობრივი სიგრძე - გრძივი მეტრი	საკადასტრო კოდი	ქონების საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	სარწყავი არხი	სოფელი გოგიაშვილები	418.89	425	21.00.123	2513.34	
2	სარწყავი არხი	სოფელი გოგიაშვილები	597.25	611	21.00.554	3583.50	
3	სარწყავი არხი	სოფელი გარეტყე	56.84	59	21.00.150	341.04	
ჯამი			1072.98	1095		6437.88	